Vitilevure M05	4	1	1	1	1	1	1	15-32	ზომიერი	ნეიტრალური	14	საშუალო	დაბალი	დაბალი
Vitilevure MT	1	2	4	1	1	1	1	15-32	ზომიერი	აქტიური	15	საშუალო	საშუალო	დაბალი
Vitilevure Quartz	4	1	1	1	3	3	3	10-32	სწრაფი	მგრძობიარე	17	დაბალი		

მოცემული საფურცების ცხრილი დაგეგმვაზე შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი საფური ამა თუ იმ ტიპის ღვინის წარმოებისათვის. მოცემული იფორმაცია არის ზოგადი ორიენტაციისათვის. დამატებითი ტექნიკური დეტალებისათვის გაცხადით მათ დაწვრილებით დახასიათებებს.

მაღალი აქტიუობა: 4 ; დაბალი 1 ;

ბათივალისწინეთ, რომ "ღვინის ტემპერატურული ინტერვალის" სვეტში არ არის მოცემული ღვინის ოპტიმალური ტემპერატურები.

ასევე, საფურცლის ფერმენტბეჭდვით მოცემულ ტემპერატურულ ინტერვალში დამოკიდებულად პოტენციურ ალკოჰოლზე და სხვა "ანტაგონისტურ" პირობებზე.

"შეღარებით აზოტის მოთხოვნა" მიგანიშნებთ, თუ რამდენ აზოტს საჭიროებს ესა თუ ის საფური სხვა საფურცლებთან შედარებით აზოტით დეფიციტურ ტიპში.

H2S-ის წარმოქმნა გინვრებით საფურცლების შეღარებით შესაძლებლობას წარმოქმნას ეს კომპონენტი შარდის დუღის შემთხვევაში 60 ppm (დეციტიურ) და 170 ppm მოხმარებადი აზოტის შემცველობის პირობებში



**FERMAID 0**

**ორგანული აზოტის საფუარის საკვები ნივთიერება სტაბილური  
ფერმენტაციისათვის**

**FERMAID 0** – ფერმენტაციის დროს აზოტის მეტაბოლიზმზე Lallemand-ის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებული საკვები ნივთიერება.

**FERMAID 0** – წამოადგენს ორგანული აზოტით მდიდარ უნიკალური საფუარის ფრაქციების ნარევს. იგი შეიცავს 100% ბუნებრივი საფუარისგან წარმოებულ კომპონენტებს და არ შეიცავს არაორგანულ აზოტს, როგორცაა ამონიუმის მარილები (DAP ან SDA).

**FERMAID 0** – უზრუნველყოფს კარგად დაბალანსებულ საკვები ნივთიერებების მიწოდებას საფუარისათვის:


- ამინო-მჟავები და პეპტიდები. ამინო-მჟავები უფრო ადვილად ათვისებადია საფუარების მიერ, ვიდრე არაორგანული აზოტი.
- შაფუარის გაძლიერების ბუნებრივი წყაროები სტრესურ მდგომარეობაში დუღილის შესანარჩუნებლად
- ვიტამინების ბუნებრივი წყარო.

**FERMAID 0** – ხელს უწყობს მწიფე ხილის ტონების გამოხატვას, ღვინის სისრულეს და სიმშრალის შეგრძნების შემცირებას.


**FERMAID 0** –ის აზოტის ასიმილაცია ხდება უფრო სტაბილურად, ვიდრე მინერალური აზოტის. ხელს უშლის ფერმენტაციის აქტიურობის პიკის მიღწევას, რაც გამოიწვევს ტემპერატურულ არასასურველ პიკებსაც. შენიშვნა: არახელსაყრედ საკვებ გარემოში, საფუარისათვის ხელმისაწვდომი აზოტი (YAN) შესაძლოა არ იყოს საკმარისი ფერმენტაციის პრობლემების თავიდან ასაცილებლად.

**გამოყენება და შედეგები**

**გრაფიკი 1 -  $\alpha$  ამინოჰაზების ეფექტურობა დიამონიუმის ფოსფატთან (DAP) შედარებით, ღვინის საფუარის მიერ აზოტის ათვისების თვალსაზრისით.**



**გრაფიკი 2: FERMAID 0-ის გავლენა 2007 წლის Syrah-ს სენსორულ პროფილზე (ICV კვლევისა და შემუშავების დეპარტამენტი, 2007).**



### **დოზირება და გამოყენების ინსტრუქციები :**

- რეკომენდირებული დოზა არის 2-ჯერ 20 გ/ჰლ
- 20გ/ჰლ ალკოჰოლური ფერმენტოზაციის დაწყებისას
- 20გ/ჰლ ალკოჰოლური ფერმენტოზაციის 1/4 – 1/3-ზე.
- FERMAID 0 უნდა გაიხსნას წყალში (2.5კგ FERMAID 0 25 ლ წყალში) და დაუყოვნებლივ დაემატოს ცისტერნას. წინასწარ მომზადების შემთხვევაში, ხსნარს თავიდან ამოურიეთ მის მასაში შეტანამდე.

### **შეფუთვა და შენახვა**

- 10 კგ (4X2.5კგ პაკეტები).
- შეინახეთ გრილ და მშრალ, მზის პირდაპირი სინათლისგან და მკვეთრი სუნებისაგან დაცულ ადგილას 25°C-ზე დაბალ ტემპერატურაზე.
- შენახვის ვადა: შენახვის რეკომენდირებულ ტემპერატურაზე – გამოშვებიდან 4 წელი.

## FERMAID E BLANC

### ღვინის საფუერის კომპლექსური საკვები ნივთიერება თეთრი და ვარდისფერი ღვინოებისათვის

გამოიყენება თეთრი და ვარდისფერი ყურძნის ტკბილის საკვები ნივთიერებების დასაბალანსებლად. თავიდან აგაცილებთ პრობლემურ ალკოჰოლურ ფერმენტაციას ამცირებს ორგანოლექტურ დარღვევებს (მქროლავი მუავიანობა, H<sub>2</sub>S) იცავს ღვინოების არომატულ კომპლექსურობას

#### გამოყენება:

**რატომ არის თეთრი და ვარდისფერი ყურძნის ტკბილები ხშირად ღარიბი საკვები ნივთიერებებით?**

- ცივი დაწდომა და დამუშავება ამცირებს ტკბილის სიმღვრივეს ნალექის გამოდენის ხარჯზე, რაც მდიდარია სტეროლებითა და ცხიმოვანი მუავეებით.
- ყურძნის გადამეტებული სიმწიფით აიხსნება ხანდახან მათში აზოტისა და ვიტამინების დაბალი შემცველობა.
- ტკბილში აზოტის დეფიციტი შესაძლოა გამოწვეული იყოს ვენახის მოსავლიანობის შემცირებით. ასევე ცვალებადია კლიმატის, ყურძნის ჯიშის, ფერმენტაციის წინ ტკბილის დამუშავების გათვალისწინებით.
- ყურძნის სანიტარული მდგომარეობა: თიამინის, სტეროლების და ცხიმოვანი მუავეების ნაკლებობა ჩვეულებრივ შეიმჩნევა დაავადებულ ყურძენში (*Botrytis cinerea*).

#### **საკვები ნივთიერებების დეფიციტის უარყოფითი გავლენა ალკოჰოლურ ფერმენტაციაზე:**

გვიან აღმოჩენის შემთხვევაში საკვები ნივთიერებების დეფიციტმა შესაძლოა გამოიწვიოს სიძნელები, რაც პოტენციურად იწვევს ღვინის ხარისხის გაუარესებას და კომერციული ღირებულების შეუქცევად ხარაღს

- ნელი ფერმენტაცია / დუღილის გაჩერება
- არასწორი ფერმენტაცია აქროლადი მუავიანობის, H<sub>2</sub>S, მოკლე ჯაჭვიანი ცხიმოვანი მუავეების წარმოქმნით.

- ღვინის სუსტი არომატული კომპლექსურობა / სიმშრალის გემოვნური შეგრძნება

**FERMAIR E BLANC** არის ინოვაციური ფორმულის პრეპარატი, რომელიც აერთიანებს 2 აზოტის წყაროს, ვიტამინებს, მინერალებს და სპეციფიურ სტეროლებს.

**2 აზოტის წყარო: ამონიუმის მარილები + ორგანული აზოტი**

- 😊 აზოტი საჭიროა პროტეინების სინთეზისა და საფუერის უჯრედის ზრდისთვის

**ვიტამინები:**

- 😊 მნიშვნელოვანია საფუარის ზრდისა და ფერმენტაციის სტრესისადმი საფუარის გამძლეობისათვის.



**მინერალები:**

- 😊 აქტიური როლი საფუარის ენერგეტიკულ და ენზიმურ ფუნქციაში
- 😊 აუმჯობესებს არომატული ეთერების წარმოქმნას

**სპეციფიური და პოლიმერული სტეროლები:**

- 😊 მნიშვნელოვანია საფუერის სიცოცხლისუნარიანობისათვის ფერმენტაციის ბოლო ეტაპზე.

**FERMAIR E BLANC: უზრუნველყოფს თეთრი და ვარდისფერი ღვინის ფერმენტაციის ოპტიმიზაციას და დაცვას**



FERMAIR E BLANC-ის გავლენა ფერმენტაციის აქტივობაზე. დაუღიის 1/3-ზე დამატებისას (30გ/ჰლ)

## **FERMAIR E BLANC საფუარს ეხმარება ალკოჰოლურ დუდილს სტაბილური აქტივობის შენარჩუნებაში**

- ☺ საჭიროების შემთხვევაში რძემჟავა დუდილის ადრეული დაწყება
- ☺ მქროლავი მჟავიანობის, H<sub>2</sub>S, მოკლე ჯაშვიანი ცხიმოვანი მჟავების შემცირება

## **FERMAIR E BLANC ამცირებს ალკოჰოლური დუდილის ბოლო ფაზის დაჩქარებას**

- ☺ შესაძლებელია ღვინის ადრე გადაღება და დამუშავება
- ☺ ამცირებს “გოგირდის კომპონენტების სუნს” და არასასურველი მიკროფლორის მოქმედებას

## **როგორ გამოვიყენოთ FERMAID E BLANC?**

**პრევენციული გამოყენება:** FERMAID E BALC-ის დამატება ტკბილში ხდება 1/3 შაქრის ათვისებისას დარევით და კარგი აერაციით. აზოტის მნიშვნელოვანი დეფიციტის შემთხვევაში საუკეთესოა FERMAID E BALC-ის დამატება ორჯერ. პირველი დამატება უნდა მოხდეს ფერმენტაციის დაწყებისას და მეორე დამატება უნდა მოხდეს შაქრის 1/3-ის ათვისებისას.

**რეფერმენტაცია:** გაჩერებული დუდილის განსაახლებლად შესაძლებელია გამოყენებული იქნას FERMAID E BALC გარკვეული ინოკულაციის სქემის მიხედვით.

**ოპტიმალური დოზა:**

**35-40 გ/ჰლ**

**EEC მაქსიმალური დოზა 40 გ/ჰლ**

## GO FERM PROTECT

დაიცავით და გაააქტიურეთ თქვენი საფუარი

### LALLEMND-ის ახალი პროდუქტი

INRA-თან (საფრანგეთის სასოფლო სამეურნეო კვლევების ეროვნული ინსტიტუტი) თანამშრომლობით წლების მანძილზე ჩატარებული კვლევების შედეგად Lallemand-მა შეიმუშავა ეფექტური და 100%-ით ბუნებრივი სტიმულირების მეთოდი თქვენს მიერ შერჩეული ღვინის საფუარისათვის.


#### GO FERM PROTECT :

- იცავს საფუარს მიკროდამცავებით: სპეციალური სტეროლები, ცხიმოვანი მუავები;
- ააქტიურებს საფუარს მიკროსაკვებით: ვიტამინები, მინერალები;
- უზრუნველყოფს საფუარის ოპტიმიზაციას რეჰიდრატაციის პერიოდიდანვე: ბიოლოგიურად აქტიური მიკროპროტექტორები და მიკროსაკვები აძლიერებს საფუარის მემბრანას, ხდის მას უფრო ძლიერს და უფრო გამძლეს ფერმენტაციული სტრესის მიმართ. მაქსიმალურად ზრდის საფუარის სიცოცხლისუნარიანობას ალკოჰოლური ღვინის დროს.

### GO FERM PROTECT-ის გამოყენების 4 ზირითადი მიზანი.

#### 1. ფერმენტიზაციის უზრუნველყოფა მისი დაწყებისთანავე


- საფუარის სტრეტისასდმი გამძლეობა
- უკეთესი სპირტგამძლეობა



GO FERM PROTECT-ით რეჰიდრატირებული EC 1118 საფუარის ფერმენტიზაციის აქტივობა (30გ/ჰლ) (წითელი მაჩვენებელი) ან მის გარეშე (ცისფერი მაჩვენებელი) (Lallemand, 2004).

## 2. ღუღის გაჩერების რისკის შემცირება

- საფუერის გაუმჯობესებული სიცოცხლისუნარიანობა ფერმენტაციის ბოლომდე.
- ფერმენტებურობა ტკბილში შაქრის სრულად ათვისებამდე.



ცოცხალი საფუერების რაოდენობა ალკოჰოლური ფერმენტაციის დასრულებისას.

GO FERM PROTECT-ის გამოყენებისას (წითელი მახვენებელი) და მის გარეშე (ცისფერი მახვენებელი) (INRA, მონპელიე, 2005).

## 3 ღვინის სენსორული მახასიათებლების დაცვა

- ამცირებს არასასიამოვნო არომატების გამოყოფას მქროლავი მუავების და სულფიდების ჩათვლით.
- ამცირებს ველური საფუერების არასასურველ აქტივობას.

## 4. იოლი გამოყენება

- დაამატეთ GO FERM PROTECT პირდაპირ წყალში, რომელშიც უნდა გახსნათ თქვენს მიერ შერჩეული საფუარი.

## როდის გამოიყენოთ GO FERM PROTECT

ამა თუ იმ ყურძნის წვენის შედგენილობა სხვადასხვაა ჯიშების, მოსავლის წელის, ყურძნის სიმწიფის, ვენახის მოსავლიანობის და სხვა ფაქტორების მიხედვით. სადღლარი არე, რასაც ემატება საფუარი, შესაძლოა იყოს ღარიბი სტეროლებით, ვიტამინებით და მინერალებით. არ არსებობს გარანტია, რომ ეს მიკროდამცავები და მიკროსაკვები ნივთიერებები იქნება ბიოლოგიურად მოხმარებადი საფუერისათვის.

სწორედ მაშინ უნდა გამოიყენოთ GO FERM PROTECT-ი როგორც კი ფერმენტაციის პირობები მიჩნეული იქნება რთულად და როდესაც შეიმჩნევა მიკროდამცავების და მიკროსაკვები ნივთიერებების დეფიციტი ტკბილში, ისეთ პირობებში, როგორიცაა:

- ძალიან მწიფე მოსავალი (მაღალი შაქრიანობა და ჭარბი ექსტრაგირებადი პოლიფენოლები).
- *Botrytis cinerea*
- კარგად დაწდომილი, გაღიაგებული, სულფიტირებული ტკბილი.




- გაჩერებული დუღილის რე-ფერმენტაცია

**როგორ გამოვიყენოთ GO FERM PROTECT (დოზა: 30 გ/ჰლ)**

იოლად გამოსაყენებელი Go Ferm Protect ემატება წყალში, რომელშიც უნდა გახსნათ თქვენს მიერ შერჩეული ღვინის მშრალი საფუარი.

Go Ferm Protect შესაძლოა გამოყენებული იქნას:

- ენოლოგიური საფუარის ყველა შტამთან ერთად
- ყველა წითელი, თეთრი და ვარდისფერი ღვინოების წარმოებისათვის
- ღვინის წარმოების ყველა ტექნოლოგიებში
- ღვინის ყველა ტიპისთვის



## Opti-White

სპეციალური ბუნებრივი საფუერის წარმოებული განკუთვნილი არომატული თეთრი ყურძნის ღვინოებისთვის.

Opti-White წარმოადგენს სპეციალურ ბუნებრივ საფუარს, მაღალი ანტიოქსიდური მახასიათებლებით. თეთრ ღვინის წარმოებაში მისი გამოყენება უკვე დაპატენტებულია Lallemand-ის მიერ მრავალ ქვეყანაში.

Opti-White-ის გამოყენება ტბილში ფერმენტაციის დაწყებისას განაპირობებს სხეულიანობას და სირბილეს, ასევე მეტ არომატულ კომპლექსურობას თეთრ ღვინოებში.

ვინაიდან მისი უნიკალური მახასიათებლები უზრუნველყოფს ფენოლების და არომატების ოქსიდაციისაგან დაცვას, Opti-White ხელს უწყობს თეთრი ღვინოების ფერის უკეთეს დაცვას და არომატის შენარჩუნებას.

- **„ქორფა“ არომატები**

Opti-White-ი ბუნებრივად აძლიერებს სტანდარტული ანტიოქსიდანტური პროდუქტების თვისებებს (SO<sub>2</sub>, ასკორბინის მჟავა, ა.შ.) და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს თეთრი ღვინის „ქორფა“ არომატების ხარისხს.

- **გემო (სირბილე, სხეული)**

Opti-White-დან მიღებული საფუარის უჯრედების კედლის კომპონენტები იხსნება ღვინოში ფერმენტაციის და ლექზე დავარგების დროს. როგორც მანოპროტეინები, ასევე პოლისაქარიდები ძალიან დადებით გავლენას ახდენენ ღვინის გემოვნურ სისავსეზე და სხეულიანობაზე. მათი მოქმედება ზრდის ალკოჰოლური დუღილის შემდგომი ავტოლიზის შედეგებს.

- **ფერი**

Opti-White-ის უნიკალური თვისებები ბუნებრივად ამცირებს ფენოლური კომპონენტების ოქსიდაციის რისკს. ღვინის წარმოების საუკეთესო პრაქტიკასთან ერთად Opti-White ზღუდავს თეთრი ღვინის გამუქებას და შეანელებს არასასურველი მუქი ყვითელი შეფერილობისკენ გადასვლას ღვინის დაძველების დროს.

- **საფუერის საკვები ნივთიერებები**

Opti-White ასევე უზრუნველყოფს საფუერის საკვები ნივთიერებების მცირე რაოდენობით მიწოდებას, მაგრამ არ ცვლის საკვები ნივთიერებების რეგულარულ როლს, რასაც საჭიროებს საფუერის კულტურა ყურძნის ტბილის პარამეტრების გათვალისწინებით..

Opti-Red დამტკიცებულია ორგანული მასალების კვლევის ინსტიტუტის მიერ (OMRI) ორგანული ღვინის წარმოებისათვის.

## გამოყენების ინსტრუქციები

- **შეფუთვა**

Opti-White დაფასოებულია 1 კგ ან 2.5 კგ დალუქულ ალუმინის ფოლგის შეფუთვებში.

- **დოზირება**

რეკომენდებული დოზა: 30-50 გ/ჰლ სასურველი შედეგების მიხედვით. გახსენით Opti-White წყალში ან წვენში 1 x 10 პროპორციით. შეიტანეთ ტკბილში მისი დაწურვის შემდეგ ფერმენტაციის დაწყებისას.

- **შენახვა**

შენახეთ მშრალ ადგილას 25°C-ზე დაბალ ტემპერატურაზე.

## Opti-Red

უნიკალური ბუნებრივი საფუარის წარმოებული, განკუთვნილი რბილი ტანინებისა და მდიდარი სხეულის მქონე წითელი ღვინოებისთვის

Opti-Red წარმოადგენს უნიკალურ ბუნებრივ ანაქტივებულ საფუარს, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური დამუშავების პროცესი. იგი განაპირობებს საფუარის კედელში არსებული პოლისაქარიდების პოლიმერიზაციის აქტივობას ღვინის ფენოლურ ნაერთებთან.

ტბილში Opti-Red-ის გამოყენება უზრუნველყოფს პოლისაქარიდების ადრეულ გადასვლას ღვინოში და მათ დაუყოვნებელ პოლიმერიზებას პოლიფენოლებთან როგორც კი მოხდება მათი გამონთავისუფლება არეში..

ეს ადრეული კომპლექსურობა იწვევს წითელი ღვინის უფრო ინტენსიურ შეფერილობას, მდიდარ გემოს და უკეთეს ტანინების ინტეგრირებას. Opti-Red შესაძლოა დამოყენებული იქნას დამოუკიდებლად ან ენზიმებთან ერთად მაცერაციის დროს.

### გამოყენება და შედეგები

- **გემო (სიმდიდრე)**

ზოგადად, სხეულიანობის გაუმჯობესება მადუღარი საფუარის პოლისაქარიდებით შეზღუდულია, რადგან მათი ავტოლიზი იწვევს ფერმენტაციის დასრულების ფაზაში. Opti-red-ის გამოყენებით, რომელსაც გააჩნია უნარი პოლისაქარიდების ადრეული განთავისუფლებისა საფუარის გამრავლების ფაზაში. ტანინის და პოლისაქარიდების კომპლექსურობა იწვევს უფრო ადრე. ამჟამად, ეს პოლისაქარიდები შესაძლოა ხელმისაწვდომი გახდეს მაცერაციის დაწყებისას Opti-Red-ის დურღოში დამატებით. როგორც მანოპროტეინები, ასევე პოლისაქარიდები ძალიან დადებით გავლენას ახდენენ ღვინის გემოვნურ სიმდიდრეზე უფრო მეტი სისრულის და სხეულის წარმოქმნით.

- **ფერი**

პოლიფენოლური კოლოიდების გამოლექვა შესაძლოა თავიდან იქნას აცილებული, როდესაც მდიდარია ღვინო პოლისაქარიდებით, რომელთაც გააჩნიათ “დაცვის” ფუნქცია, აბრკოლებს მაღალი მოლეკულური წონის პოლიფენოლური კოლოიდების დალექვას. ამიტომ, პოლიფენოლებს გააჩნიათ უკეთესი სტაბილურობა ღვინის დაძველების დროს, როდესაც ისინი დაცულნი არიან Opti-Red პოლისაქარიდებით. პოლისაქარიდების მაღალი შემცველობის ღვინოები უფრო ნაკლებად კარგავენ ფერს დაძველებამდე და მის განმავლობაში.

- **საფუარის საკვები ნივთიერებები**

Opti-Red უზრუნველყოფს საფუარის საკვები ნივთიერებების უმნიშვნელო მიწოდებას, მაგრამ არ ცვლის საკვები ნივთიერებების რეგულარულ როლს, რასაც საჭიროებს საფუარის კულტურა ყურძნის ტკბილის პარამეტრების გათვალისწინებით.

Opti-Red დამტკიცებულია ორგანული მასალების კვლევის ინსტიტუტის მიერ (OMRI) ორგანული ღვინის წარმოებისათვის.

### **გამოყენების ინსტრუქციები**

- **შეფუთვა**

Opti-Red დაფასებულია 1 კგ ან 2.5 კგ დალუქულ ალუმინის ფოლგის შეფუთვებში.

- **დოზირება**

რეკომენდებული დოზა: 30 გ/ჰლ, გახსენით Opti-Red წყალში ან წვენიში (1x10-თან პროპორციით) და შეიტანეთ ტკბილში ფერმენტაციის დაწყებისას.

- **შენახვა**

შენახეთ მშრალ ადგილას 25°C-ზე დაბალ ტემპერატურაზე.

## Reduless

ნატურალური საფუერის წარმოებული ღვინის გოგირდოვანი ალდგენითი ტონების მოსაცილებლად



Reduless არის უნიკალური საფუარიდან წარმოებული პროდუქტი ფიქსირებული სპილენძის შემცველობით გოგირდოვანი ალდგენითი ტონების მოსაცილებლად და ღვინის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ღვინო ძალიან ხშირად შეიძლება შეიცავდეს აქროლად გოგირდოვან პროდუქტებს, რომლებიც იწვევს ღვინოში არასასურველ არომატს, მომხმარებლების მხრიდან ნეგატიურ შეფასებას და ღვინის გაუფასურებას.

Reduless – ის გამოყენება ამცირებს გოგირდწყალბადის, დიეთილსულფატის, დიმეთილსულფატის, მერკაპტანის და სხვა გოგორდოვანი პროდუქტების ტონებს, რომელიც განაპირობებს ღვინოში არასასიამოვნო სუნს.


Reduless აუმჯობესებს ღვინის მთლიან ხარისხს, ამდიდრებს მას ხილის არომატებით მცენარეული და ფენოლური ტონების შემცირების ხარჯზე, ასევე ზრდის მის სხეულიანობას.

Reduless შესაძლოა გამოყენებული იქნას წითელ, თეთრ და ვარდისფერ ღვინოებში.

### გამოყენება და შედეგები წითელ ღვინოებში


- კონტროლი 
- Reduless 

დიეთილსულფატის (DES) კონცენტრაცია, # g/L Reduless-ის გამოყენებამდე და მის შემდეგ




ქვეყანა	ესპანეთი
რეგიონი	რიონა
მოსავალი	2006
ყურძნის ჯიშო	ტემპრანილო
ღვინის წარმოება	კარბონიკული მაცერაცია

*ტემპრანილოს ღვინის სენსორული პროფილი Redules-ის გამოყენებამდე და მის შემდეგ*



**გამოყენება და შედეგები თეთრ ღვინოებში**

*ვიურას ღვინის სენსორული პროფილი Redules-ის გამოყენებით და მის გარეშე*



## **დოზირება და გამოყენების წესი**

რეკომენდებული დოზა არის 15-30 გ/ჰლ

- Redulesს იხსნება წყალში 1 x 10 პროპორციით (2.5 კგ Redules 25 ლიტრ წყალში) და დაუყოვნებლივ შეურიეთ ღვინოს. წინასწარ მომზადების შემთხვევაში, ამოურიეთ ნაზავს მის ცისტერნაში დამატებამდე.
- დაურიეთ ღვინოს საგულდაგულოდ.
- დაყოვნეთ პროდუქტი ღვინოში 5 დღის განმავლობაში და შემდეგ გადაიდეთ ფილტრაციით ან მის გარეშე.

ყოველთვის სასურველია პროდუქტის საცდელი ვარიანტების შემუშავება ლაბორატორიულ პირობებში მის საწარმოო გამოყენებამდე.

## **შეფუთვა და შენახვა**

- 10 კგ (4X2.5კგ პაკეტები)
- შეინახეთ გრილ და მშრალ ადგილას მზის სინათლისა და მკვეთრი სუნებისგან მოშორებით 25°C-ზე დაბალ ტემპერატურაზე.
- შენახვის ვადა – წარმოებიდან 4 წელი.



# რ კ ე მ შ ა ვ ა ბ ა ქ ტ ე რ ი ე ბ ი

## LALVIN VP 41

პირდაპირი ინოკულაციის რძემჟავა ბაქტერიის წმინდა კულტურა

განკუთვნილია მაღალალკოჰოლური ღვინოების კომპლექსურობისა და გემოვნური სტრუქტურის გასაუმჯობესებლად.

### გამოყენება

Lanvin VP41 (*Oenococcus oeni*) გამოყოფილი და შემუშავებულია European R&D project-ის მიერ და ადაპტირებულია ღვინის ჯიშურობისა და ვენახის მიკროზონების ტიპიურობის შენარჩუნებასთან.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ღვინის ქარხნები და ენოლოგიური ინსტიტუტები თანამშრომლებდნენ ბაქტერიის შესაფერისი კულტურის შემუშავებისათვის მიკრობიოლოგიური და ენოლოგიური ნიუანსების გათვალისწინებით.

იტალიის ცხელ კლიმატურ რეგიონში სელექციონირებული Lanvin VP41 გამოირჩეოდა განსაკუთრებულობით ღვინის გემოსა და მისი სტრუქტურის გაუმჯობესების ხელშემწყობი თვისებების გამო.


ხმელთაშუა ზღვის აუზის ღვინის რეგიონებში და მსოფლიოს ახალ ღვინის ქვეყნებში (არგენტინა, ჩილე, აშშ, ავსტალია, სამხრეთ აფრიკა), მშრალი ცხელი კლიმატი განაპირობებს ყურძნის მძლავრ სიმწიფეს, რომლისაგან წარმოებული ღვინისათვის დამახასიათებელია მაღალალკოჰოლიანობა (>15% სიმაგრე). ეს მკაცრი პირობები ხშირად იწვევს რძემჟავა დუღილის სირთულეს.

Lanvin VP 41-ის ძალიან კარგი კულტურაა, მაღალი სპირტგამძლეობით და ფერმენტაციის სტაბილური მახასიათებლებით წარმოადგენს ყველაზე ადაპტირებულ და საიმედო ბაქტერიულ კულტურას ცხელი კლიმატის პირობებში წარმოებული ღვინისათვის.

## ენოლოგიური და მიკრობაქტერიული მახასიათებლები


- *OEnococcus oeni*
- pH ტოლერანტობა >3.1
- ტემპერატურის დიაპაზონის ფართო სპექტრი: 16-34°C
- რძემჟავა დუღილის კინეტიკა: ზომიერი
- სპირტგამძლეობა: მაღალი
- ტოლერანტობა გოგირდის დიოქსიდის მიმართ, საერთო SO<sub>2</sub>: 50-60 ppm
- საკვები ნივთიერებები: რთულ პირობებში რეკომენდირებულია საკვები ნივთიერებების დამატება
- მქროლავი მჟავების დაბალი წარმოქმნა
- აცეტალდეჰიდის მცირე წარმოქმნა, რაც იწვევს SO<sub>2</sub>-ის უკეთეს ეფექტურობას (ამცირებს SO<sub>2</sub>-საჭიროებას)
- ბიოგენური აზოტის წარმოქმნა: ძალიან დაბალი

## სპირტგამძლეობათა შედარება Lanvin VP41-სა და კლასიკურ MBR საწყის კულტურას შორის



**LANVIN VP 41-ის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები ღვინის არმატისა და სტრუქტურის თვალსაზრისით**

მერლოს ყურძნის ჯიშის შემთხვევაში



Red Fruit – წითელი ხილი


Sweaty – ოფლის სუნი

Vegetative – მცენარეული

Tannin Structure – ტანინის სტრუქტურა

Mouthfeel – სხეული

არმატული წვლილი შარდონეს (ყურძნის ჯიში) შემთხვევაში



Tropical fruit – ტროპიკული ხილი

Lactic – რძის პროდუქტების ტონი

Varietal – ჯიშური

Vegetal – მცენარეული

Volume – სხეული

## **გამოყენება**

Lallemand MBR პროცესით მომზადების შემთხვევაში მისი წინასწარი აკლიმატიზაცია მიიღწევა ბიომასის წარმოების დროს ღვინოში არახელსაყრელი პირობებისადმი ბაქტერიის უჯრედის კედლისათვის გამძლეობის მინიჭებით, რაც იძლევა ღვინოში იოლად და პირდაპირი დამატების საშუალებას.

გახსენით პაკეტი 25 ჰექტოლიტრისათვის 500 მლ უქლორო სუფთა წყალში 20-30°C-ზე.

დაამატეთ ხსნარი პირდაპირ ღვინოში ალკოჰოლური დუღილის ბოლო ფაზაში ან კო-ინოკულაციის (იხ. სქემა) და მოურიეთ მსუბუქად, რათა თანაბრად გაანაწილოთ ბაქტერიები და თავი აარიდოთ ჟანგბადის გახსნას ღვინოში.


აღნიშნული პროდუქტის შენახვა შესაძლებელია 12 თვის განმავლობაში 4 °C-ზე და 18 თვის განმავლობაში -18°C-ზე.

## **შეფუთვის ზომები**

დაფასოებულია პაკეტებში განკუთვნილი 2.5 ჰლ, 25 ჰლ და 250 ჰლ ღვინისთვის.

## საფუერისა და რძემუაგა ბაქტერიის კო-ინოკულაციის ტექნოლოგიური სქემა

1



გასხენით შერჩეული საფუარი  
“Goferm”ში.

შეარჩიეთ საფუარი და აზოტის  
განკუთვნილი რაოდენობა, რომელიც  
შეეფერება იმ ღვინის ტიპს, რომლის  
დამზადებასაც აპირებთ.

სულფიტაცია < 5 გ/ჰლ : დააყოვნეთ 24 საათი


სულფიტაცია – 5 გ/ჰლ : დააყოვნეთ 48 საათი

სულფიტაცია > 8 გ/ჰლ : დააყოვნეთ 72 საათი

2




Juice >16°C



შეიტანეთ შერჩეული  
ბაქტერიის კულტურა (1გ/ჰლ  
ტკბილი)

შეარჩიეთ ღვინის პირობებთან  
ადაპტირებული ბაქტერიების  
წმინდა კულტურა (pH, SO<sub>2</sub>,  
ალკოჰოლი).

დაურიეთ ღვინოს.



**ალკოჰოლური დუღილი**

შეიტანეთ კომპლექსური საკვები ნივთიერებები ალკოჰოლური ფერმენტაციის 1/3-ზე რეგულარულად აკონტროლეთ ვაშლმუავასა და ძმარმუავას რაოდენობა ალკოჰოლური ფერმენტაციის შემდეგ გადაავსეთ ჭურჭელი

**რძემუავა დუღილი**

თუ რძემუავა დუღილი დასრულდება ალკოჰოლური დუღილის დროს: დაამატეთ SO<sub>2</sub> ან გამოიყენეთ ლიზოზიმი (150-200 მგ/ჰლ)

ან გადაიდეთ და დააკონსერვეთ ღვინო რძემუავა დუღილის დასრულების შემდეგ.

**საფურის საკვები ნივთიერებების  
ხმარების რეკომენდაციები  
ალკოჰოლური ფერმენტაციისათვის**

**შენიშვნა:** მოცემული რეკომენდაციები განახლებული იქნა 2009 წლის აპრილში. Lallemand-ის უახლესი ინფორმაციისათვის, გთხოვთ ეწვიოთ ვებსაიტს მისამართზე: [www.lallemandwine.com](http://www.lallemandwine.com)

Lallemand-ის რეკომენდაციები ალკოჰოლური ფერმენტიზაციის საუკეთესო შედეგების მიღწევისათვის მოიცავს ქვემოთ მოცემული საფურის საკვები ნივთიერებების სამი კატეგორიიდან ერთ ან მეტი კატეგორიის შესაძლო გამოყენებას.

**1. Go-Ferm ან NATSTEP საფურის სტიმულატორი**

მოცემული საფურის საკვები ნივთიერების პირველი კატეგორია გამოიყენება საფურის რეჰიდრატაციის ეტაპზე. ამ მიზნით გამოყენებისას მიკრო საკვები ნივთიერებები (მაგ. შერჩეული ვიტამინები და მინერალები) და NATSTEP-ის და GO FERM PROTECT- ის შემთხვევაში დამატებითი მიკროდამცავები (მაგ. განსაკუთრებული სტეროლები და ცხიმოვანი მჟავები) ხელმისაწვდომია მხოლოდ შერჩეული საფურისათვის და არა ტკბილის ან დურღოს კონკურენტი კომპონენტებისთვის. გახსნილ საფურს შეუძლია იმოქმედოს ღრუბელის მსგავსად და შეიწოვოს ეს სტიმულატორები და დამცავები, შემდეგ გამოიყენოს ისინი მათი მაქსიმალური პოტენციალით.

**2. Fermaid K ან Fermaid O**

Lallemand-ის საფურის კომპლექსური საკვები ნივთიერებები უზრუნველყოფს ენერჯის საჭირო ტალღას ალკოჰოლური ფერმენტაციის დაწყებისთანავე. Lallemand-ის საფურის კომპლექსური საკვები ნივთიერებები არის Fermaid K და Fermaid O.

**3. დიამონიუმის ფოსფატი (DAP)**

მაღალი შაქრიანობის და დეფიციტური ათვისებადი აზოტის (YAN) შემთხვევაში შესაძლოა აუცილებელი გახდეს დიამონიუმის ფოსფატის (DAP) დამატება ტკბილზე. ეს არის არაორგანული აზოტის წყარო, რომელიც დაშვებულია ღვინის წარმოებაში. ზოგადად, აზოტოვანი ნაერთები არის ძირითადი ელემენტი პრობლემური ფერმენტიზაციის ან დუღილის გაჩერების თავიდან ასაცილებლად. თუმცა, მხოლოდ არაორგანული აზოტი ვერ მოგვცემს ფერმენტიზაციის საუკეთესო შედეგებს და მისმა გადამეტებულმა ხმარებამ შესაძლოა გამოიწვიოს ღვინის უხეში ხასიათი. აზოტის დეფიციტის პირობებში მთავარ მიზანს წარმოადგენს DAP-ის დოზის შერჩევა, რაც საჭიროა აზოტის ოპტიმალური

დონეების მისაღწევად Lallemand-ის კომპლექსური საფუარის საკვები ნივთიერებებთან ერთად. ამ პროდუქტების კარგი ბალანსი უზრუნველყოფს დაზღვეულ ფერმენტოზაციას და მიზნობრივ შედეგებს ამა თუ იმ ტიპის ღვინის წარმოებისას.

გარკვეული ფერმენტაციისათვის საჭირო საფუარის საკვები ნივთიერებების სათანადო ბალანსის განსაზღვრა დამოკიდებულია ყურძნის ტკბილის შემდეგ ფაქტორებზე:

1. Brix
2. ათვისებადი აზოტი (YAN)

როდესაც ეს ფაქტორები ცნობილია, გამოიყენეთ შემდეგი ცხრილები სასურველი საკვები ნივთიერებების და მათი დამატების ინტერვალების დასადგენად.

<b>ცხრილი 1. YAN-ის მაღალი შემცველობა ტკბილში ან ღურღოში (&gt; 225 მგ/ლ)</b>			
Brix	დაამატეთ საფუარის გასხნისას	დაამატეთ დაყოვნების ფაზის დასრულებისას (ინოკულაციიდან 6-12 საათის შემდეგ)	დაამატეთ 1/3 შაქრის ათვისების შემდეგ.
22	Go-Ferm <sup>1</sup>	შესაძლოა სასურველი იყოს კომპლექსური საფუარის საკვები ნივთიერებების დამატება. ტკბილის Brix-ის და YAN-ის გარდა გასათვალისწინებელია წვენი სიბლანტე და დუღილის ტემპერატურა. ასევე, არსებობს სხვა ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს საფუარის მიერ აზოტის ათვისების უნარზე, როგორცაა pH და ოსმოტოლერანტობა.	
23	Go-Ferm <sup>1</sup>		
24	Go-Ferm <sup>1</sup>		
25	NATSTEP <sup>2</sup>		
26	NATSTEP <sup>2</sup>		
27	NATSTEP <sup>2</sup>		

1. Go-Ferm-ის დოზა: 30გ/ჰლ

2. NATSTEP-ის დოზა: 30გ/ჰლ



**ცხრილი 2. YAN-ის საშუალო შემცველობა ტკბილში ან ღურღოში (125-225 გ/ლ)**

Brix	დაამატეთ საფურის გახსნისას	დაამატეთ დაყოვნების ფაზის დასრულებისას (ინოკულაციიდან 6-12 საათის შემდეგ)	დაამატეთ 1/3 შაქრის ათვისების შემდეგ.
22	Go-Ferm <sup>1</sup>	საფურის კომპლექსური საკვები ნივთიერებები <sup>3</sup>	საფურის კომპლექსური საკვები ნივთიერებები <sup>3</sup>
23	Go-Ferm <sup>1</sup>	საფურის კომპლექსური საკვები ნივთიერებები <sup>3</sup>	საფურის კომპლექსური საკვები ნივთიერებები <sup>3</sup>
24	Go-Ferm <sup>1</sup>	საფურის კომპლექსური საკვები ნივთიერებები <sup>3</sup>	საფურის კომპლექსური საკვები ნივთიერებები <sup>3</sup> 5 გ/კლ DAP
25	NATSTEP <sup>2</sup>	საფურის კომპლექსური საკვები ნივთიერებები <sup>3</sup>	საფურის კომპლექსური საკვები ნივთიერებები <sup>3</sup> 10 გ/კლ DAP
26	NATSTEP <sup>2</sup>	საფურის კომპლექსური საკვები ნივთიერებები <sup>3</sup>	საფურის კომპლექსური საკვები ნივთიერებები <sup>3</sup> 15 გ/კლ DAP
27	NATSTEP <sup>2</sup>	საფურის კომპლექსური საკვები ნივთიერებები <sup>3</sup>	საფურის კომპლექსური საკვები ნივთიერებები <sup>3</sup> 20 გ/კლ DAP

1. Go-Ferm-ის დოზა: 30გ/კლ

2. NATSTEP-ის დოზა: 30გ/კლ

3. საფურის კომპლექსური საკვები ნივთიერებები<sup>3</sup> - Fermaid K ან Fermaid O

შერჩეული საკვები ნივთიერება	დაამატეთ დაყოვნების ფაზის დასრულებისას (ინოკულაციიდან 6-12 საათის შემდეგ)	დაამატეთ 1/3 შაქრის ათვისების შემდეგ
Fermaid K	12.5 გ/კლ	12.5 გ/კლ
Fermaid O	20 გ/კლ	20 გ/კლ

**ცხრილი 3. YAN-ის დაბალი შემცველობა ტკბილში ან ღურღოში (<125 მგ/ლ)**

Brix	დაამატეთ საფურის გახსნისას	დაამატეთ დაყოვნების ფაზის დასრულებისას (ინოკულაციიდან 6-12 საათის შემდეგ)	დაამატეთ 1/3 შაქრის ათვისების შემდეგ.
22	Go-Ferm <sup>1</sup>	Fermaid O <sup>3</sup>	Fermaid O <sup>3</sup>
		DAP, YAN-ის 150 მგ/ლიტრამდე <sup>4</sup> ასაწევად	
23	Go-Ferm <sup>1</sup>	Fermaid O <sup>3</sup>	Fermaid O <sup>3</sup>
		DAP, YAN-ის 150 მგ/ლიტრამდე <sup>4</sup> ასაწევად	
24	Go-Ferm <sup>1</sup>	Fermaid O <sup>3</sup>	Fermaid O <sup>3</sup>
		DAP, YAN-ის 150 მგ/ლიტრამდე <sup>4</sup> ასაწევად	10 გ/ჰლ DAP
25	NATSTEP <sup>2</sup>	Fermaid O <sup>3</sup>	Fermaid O <sup>3</sup>
		DAP, YAN-ის 150 მგ/ლიტრამდე <sup>4</sup> ასაწევად	15 გ/ჰლ DAP
26	NATSTEP <sup>2</sup>	Fermaid O <sup>3</sup>	Fermaid O <sup>3</sup>
		DAP, YAN-ის 150 მგ/ლიტრამდე <sup>4</sup> ასაწევად	20 გ/ჰლ DAP
27	NATSTEP <sup>2</sup>	Fermaid O <sup>3</sup>	Fermaid O <sup>3</sup>
		DAP, YAN-ის 150 მგ/ლიტრამდე <sup>4</sup> ასაწევად	25 გ/ჰლ DAP

1. Go-Ferm-ის დოზა: 30გ/ჰლ
2. NATSTEP-ის დოზა: 30გ/ჰლ
3. Fermaid K ან Fermaid O დოზა: 12.5 გ/ჰლ დაყოვნების ეტაპის ბოლოს და 12.5 გ/ჰლ დაახლოებით 1/3 შაქრის ათვისებისას
4. იხილეთ მაგალითები YAN-ის გამოთვლის ეტაპებისათვის.

**ცხრილი 4. დუღილის პროცესში გამოყენებული საკვები ნივთიერებების YAN შემცველობა**

საკვები ნივთიერება	1 გ/ჰლ	12.5 გ/ჰლ	20 გ/ჰლ	25 გ/ჰლ	30 გ/ჰლ	YAN –ის წყარო
DAP	2 მგ/ლ	25 მგ/ლ	40 მგ/ლ	50 მგ/ლ	63 მგ/ჰლ	არაორგანული აზოტი
Fermaid K	1 მგ/ლ	12.5 მგ/ლ	20 მგ/ლ	25 მგ/ლ	აჭარბებს TTB ლიმიტებს ღვინის წარმოებაში დაშვებული თიამინის დამატებაზე	არაორგანული აზოტი და ორგანული აზოტი
Go-Ferm					10 მგ/ლ	ორგანული აზოტი
NATSTEP					10 მგ/ლ	ორგანული აზოტი
Fermaid O	0.4 მგ/ლ		8 მგ/ლ		16 მგ/ლ *	ორგანული აზოტი

\* 40 გ-ჰლ

## მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

### მაგალითი 1: ზომიერი Brix, საშუალო YAN (ცხრილი 2)

მეღვინე ირჩევს Fermaid O-ს.

Brix =24

YAN=200

საფუერის გახსნის დროს:

- Go-Ferm 30 გ/ჰლ

დაყოვნების ფაზის დასრულებისას:

- Fermaid O 20 გ/ჰლ

### მაგალითი 2: ზომიერი Brix, დაბალი YAN (ცხრილი 3)

მეღვინე ირჩევს Fermaid K-ს.

Brix =23

YAN=100

საფუერის გახსნის დროს:

- Go-Ferm 30 გ/ჰლ

დაყოვნების ფაზის დასრულებისას:

- Fermaid K 12.5 გ/ჰლ
- DAP 13.8 გ/ჰლ YAN-ის 150 მგ/ლ-მდე ასაწევად

გამოთვლები (დაიხმარეთ ცხრილი 4.):

$$150 - (100 \text{ ტკბილიდან}) - (10 \text{ Go-Ferm-დან}) - (12.5 \text{ Fermaid K-დან}) = 27.5$$

მგ/ლ დასამატებელი YAN

1 გ/ჰლ DAP= 2 მგ/ლ YAN , ასე რომ საჭიროა 13.8 გ/ჰლ DAP

შაქრის დაახლოებით 1/3-ის ათვისებისას

- Fermaid K 12.5 გ/ჰლ

**მაგალითი 3: მაღალი Brix, დაბალი YAN (ცხრილი 3)**

**მეღვინე ირჩევს Fermaid K-ს.**

Brix =26

YAN=80

შენიშვნა: შემდეგი რეკომენდირებული საკვები ნივთიერებების დამატების გარდა, გაითვალისწინეთ შემოთავაზებული მაღალი Brix ფერმენტაციისათვის

საფუერის გახსნის დროს:

- NATSTEP 30 გ/ჰლ

დაყოვნების ფაზის დასრულებისას:

- Fermaid K 12.5 გ/ჰლ
- DAP 25 გ/ჰლ YAN-ის 150- მგ/ლ-მდე ასაწევად

გამოთვლები (დაიხმარეთ ცხრილი 4.):

$150 - (80 \text{ ტკბილიდან}) - (10 \text{ NATSTEP -დან}) - (12.5 \text{ Fermaid K-დან}) = 48$   
მგ/ლ დასამატებელი YAN

1გ/ჰლ DAP= 2მგ/ლ YAN, ასე რომ საჭიროა 24 გ/ჰლ DAP

შაქრის დაახლოებით 1/3-ის ათვისებისას

- Fermaid K 12.5 გ/ჰლ
- DAP 25 გ/ჰლ

**მაღალ შაქრიან ტკბილში (25 c Brix -ზე მეტი) გასათვალისწინებელი  
საფუერის და საკვები ნივთიერებების ხმარების 2 ფაქტორი**

1. როცა ტკბილის შაქრიანობა აჭარბებს 25 c Brix -ს , რეკომენდირებულია საფუერის დოზების გაზრდა 25 გ/ჰლ - დან 35 გ/ჰლ –მდე. შეტანილი საფუერის მაღალი დოზა განაპირობებს მის უკეთეს სიცოცხლისუნარიანობას კრიტიკულ სიტუაციებში და უზრუნველყოფს შაქრის სრულად გარდაქმნას ალკოჰოლად ჯანსაღი ფერმენტაციის შედეგად.

2. შეარჩიეთ საფუარი, რომელიც გამოირჩევა აზოტის დაბალი მოთხოვნით და მაღალი სპირტგამძლეობით (მაგ.: Enoferm QA 23, Lalvin T73, Lalvin DV 10, Enoferm RP 15) მეტი ინფორმაციისათვის გაეცანით მათ ტექ. დახასიათებებს.

### **სხვა ალკოჰოლური დუდილის პრაქტიკა მაღალი Brix –ის შემთხვევაში**

#### **წითელი ღვინო:**

- გაანიავეთ ან დაამატეთ უანგბადი მადუღარ არეს ქუდის წარმოქმნისთანავე (15 გ/ლ შაქრის მოხმარებისას) და გაიმეორეთ 1/3 შაქრის მოხმარების შემდეგაც.
- დაიცავით სასურველი ტემპერატურები საფუერის რეჰიდრატაციის დროს და მოერიდეთ ტემპერატურულ პიკებს დუდილის დროს.
- რეგულარულად ურიეთ ღვინოს – ამოძრავეთ საფუარი დუდილის ბოლო ფაზაში (მათი კვდომის პერიოდში)

#### **თეთრი ღვინო:**

- დააბალანსეთ ტკბილი ზომიერი სიმღვრივის მახვენებლებით 80-150 NTU –ზე.
- 
- გაანიავეთ ან დაამატეთ უანგბადი ფერმენტაციის პირველი გააქტიურებისას და გაიმეორეთ 1/3 შაქრის მოხმარების შემდეგაც.
- 
- რეგულარულად ურიეთ ღვინოს – ამოძრავეთ საფუარი დუდილის ბოლო ფაზაში (მათი კვდომის პერიოდში)